ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7713669

ნომერი: AR11117676

თარიღი : 17.11.2025

გაცემის თარიღი : 24.11.2025

გაცნობის თარიღი : 24.11.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი კრწანისის I , N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ფორჩხიძე პ/ნ 01030019151
- თბილისი ხიმშიაშვილის 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 17 ნოემბერს №AR11117676 განცხადებით მომართა გიორგი ფორჩხიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 11 ივნისის №7074348 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 ივნისის №7074348 ბრძანებით, №01.18.06.015.224 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა სამი ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 11 ივნისიდან 2024 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 24 ივლისის №ბ-10/01241851019-17 ბრძანებით მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში №01.18.06.015.224 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (სამი ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი - III).
სამსახურის 2024 წლის 01 ოქტომბრის №7235140 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 ივნისის №7074348 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 1304.6 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 348.7 კვ.მ., „კიბის უჯრედისა და დერეფნის“ ფართობად - 277.3 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 358.4 კვ.მ., საერთო ფართობად - 2289.0 კვ.მ. ასევე, 2024 წლის 11 ივნისის №7074348 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა №AR11057914 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი, ითხოვს სამსახურის 2024 წლის 11 ივნისის №7074348 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, განმცხადებელი, განმარტავს, რომ სურს შეთანხმებული №3 სახლის მე-2 სართულის გამიჯვნა მე-3 სართულისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს წარმოდგენილი აზმოვითი ნახაზის ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია შენობა №3-ის II სართულის შიდა აზმოვითი ნახაზი, რომელიც გეგმარებითად არ შეესაბამება სამსახურის 2024 წლის 11 ივნისის №7074348 ბრძანებით შეთანხმებული სახლი №3-ის II სართულის გეგმას. გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი შიდა აზმოვით ნახაზიდან დგინდება, რომ დაგეგმილია მეორე სართულის გამიჯვნა მესამე სართულისგან. აღნიშნული კი არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 11 ივნისის №7074348 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.